საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე სამხარაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**22**	**25**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**23**	**25**
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**19**	**20**
პროფესიული თვისებები	**15**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**8**	**10**
პროფესიული აქტივობა	**3**	**5**
ქულათა ჯამი	**90**	**100**

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი : 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის სალომე სამხარაძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის სალომე სამხარაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი სალომე სამხარაძე არის კორექტული, თავდაჭერილი და გამოირჩევა საკუთარი ემოციების მართვის უნარით. ამასთან, მას გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. ამასთან
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			მის მიმართ დისციპლინური დევნა არ ყოფილა დაწყებული.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25	სალომე სამხარაძე სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალს. აღსანიშნავია, რომ სალომე სამხარაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის XV ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა - მე-16 ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	სალომე სამხარაძეს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. იგი ამჟამად მუშაობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე. ამასთან, კანდიდატი გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20	კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი, იგი ღიად, ნათლად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციასა და

			შეხედულებებს, აგრეთვე, გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. სალომე სამხარაძის წერის უნარს რაც შეეხება, მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი ნათლად და თანმიმდევრულად აანალიზებს სამართლებრივ საკითხებს. ამასთან, მისი მსჯელობა არის ცხადი და არაორაზროვანი. დოკუმენტი შესრულებულია გამართული ენით და იგი დაინტერესებული პირებისათვის რთულად აღსაქმელი არ არის.
პროფესიული თვისებები	15	15	კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობით, პუნქტუალურობით და გააჩნია დამოუკიდებელი აზროვნების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	სალომე სამხარაძე არის ღია სიახლეების მიმართ და გამოირჩევა ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ინტერესით. აღსანიშნავია, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე ტრენინგში.
პროფესიული აქტივობა	3	5	კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, იგი წარმოადგენს სამართლებრივი სტატიის ავტორს. აღსანიშნავია, რომ სალომე სამხარაძე ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის ფარგლებში არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ანაზღაურებადი სტაჟირების მონაწილე. თუმცა, იგი არ არის დაკავებული პედაგოგიური საქმიანობით.

[1] სამართლებრივი სტატია: „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას“.

ქულათა ჯამი	90	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი სალომე სამხარაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით სალომე სამხარაძის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, სალომე სამხარაძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ სალომე სამხარაძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ საჯარო მოსმენისას გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>* მახასიათებლის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ სალომე სამხარაძის პირად თვისებებს რეკომენდატორები და მასთან პირად თუ სამსახურებრივ ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ		

	დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, პატიოსანი, კორექტული და საქმისადმი ერთგული. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსმენაზე სალომე სამხარაძემ დატოვა კორექტული, გაწონასწორებული და თავაზიანი პიროვნების შთაბეჭდილება. მნიშვნელოვანია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სალომე სამხარაძე გამოირჩევა პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნებით და იგი სამსახურებრივ, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. კერძოდ, დროულად იხდის ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის</u>* თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ სალომე სამხარაძის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, სამართლიანი, პიროვნულად მტკიცე, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. სალომე სამხარაძის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოთქმულა ისეთი მოსაზრებები, რაც გააჩენდა ეჭვს მის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობაში. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. სალომე სამხარაძემ საჯარო მოსმენაზე დატოვა საკმაოდ მშვიდი, გაწონასწორებული და თავდაჭერილი პიროვნების შთაბეჭდილება. ამასთან, იგი კარგად ახერხებდა საკუთარი ემოციების მართვას. აღსანიშნავია, ისიც რომ გამოკითხული რეკომენდატორები სალომე სამხარაძის დახასიათებისას უთითებენ, რომ იგი კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული. *<u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციის მახასიათებელს</u>* რაც შეეხება, სალომე სამხარაძის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი კოლეგებში გამოირჩევა კარგი რეპუტაციითა და ავტორიტეტით. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სალომე

	სამხარაძის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებით მხოლოდ იმის თქმა არის შესაძლებელი, რომ კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული რამოდენიმე ტრენინგში. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებლის* შესახებ, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სალომე სამხარაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ სალომე სამხარაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. სალომე სამხარაძის მიერ *სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან დაკავშირებით* უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან

	გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასა და ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალს. აღსანიშნავია, რომ სალომე სამხარაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია) იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XV ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა მე-16 ადგილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 29 იანვარს სალომე სამხარაძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენაზე კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. იგი იყო გაწონასწორებული, მშვიდი და თავდაჯერებული. სალომე სამხარაძე ღიად და თავისუფლად აყალიბებდა საკუთარ მოსაზრებებს და ანვითარებდა საინტერესო და არგუმენტირებულ სამართლებრივ მსჯელობას. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას მან გამოავლინა კარგი თეორიული ცოდნა, რის საფუძველზეც იგი ახერხებდა აღნიშნული საკითხების ნათლად, თანმიმდევრულად და ლოგიკურად გაანალიზებას. თუმცა, კანდიდატს ზოგიერთ შეკითხვაზე გაუჭირდა სრულყოფილი პასუხის გაცემა. კანდიდატის <u>*სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის*</u> შესახებ შესაძლებელია ითქვს, რომ სალომე სამხარაძეს აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. იგი ამჟამად მუშაობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე. ამასთან, გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით. სალომე სამხარაძის <u>*წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს*</u> რაც შეეხება, ამ კუთხით უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს გამართული მეტყველების უნარი, როგორც აღვნიშნე, იგი ღიად, ნათლად და თავისუფლად გამოხატავს საკუთარ პოზიციასა და შეხედულებებს, აგრეთვე, გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. სალომე სამხარაძის წერის უნართან დაკავშირებით კი მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[3] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ კანდიდატი ნათლად და თანმიმდევრულად აანალიზებს სამართლებრივ საკითხებს. ამასთან მისი

[2] იხ. სალომე სამხარაძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=AN_Z7wGqTmY

[3] სამართლებრივი სტატია: „ინდივიდუალური კონსტიტუციური სარჩელის წარდგენის ეფექტურობა საერთო სასამართლოებში საქმეთა განხილვისას“.

	მსჯელობა არის ცხადი და არაორაზროვანი. დოკუმენტი შესრულებულია გამართული ენით და იგი დაინტერესებული პირებისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. მნიშვნელოვანია, რომ მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. *<u>პროფესიული თვისებების მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ სალომე სამხარაძე გამოირჩევა მიზანდასახულობით, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარით, პუნქტულურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობით. სალომე სამხარაძის *<u>პროფესიული წვრთნის, აკადემიურ მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის</u>* შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ იგი არის ღია სიახლეების მიმართ და გამოირჩევა ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ინტერესით. მას მონაწილეობა აქვს მიღებული რამოდენიმე ტრენინგში და ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. აღსანიშნავია, რომ სალომე სამხარაძე ევროპის საბჭოს მიერ ჩატარებული კონკურსის ფარგლებში არის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ანაზღაურებადი სტაჟირების მონაწილე. ამასთან, იგი წარმოადგენს სამართლებრივი სტატიის ავტორს. თუმცა, კანდიდატი არ არის დაკავებული პედაგოგიური საქმიანობით. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ სალომე სამხარაძესთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 90 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის

	განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021